დამტკიცებულია დირექტორის 16.01.2026 N2/06 ბრძანება;

შპს ენ დი აკადემია

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა

2026 -2032 წწ.

2026 წელი

შესავალი

შპს **„ენ დი აკადემია“** წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მთავარი მიზანია პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი განათლებისა და პრაქტიკული უნარების მიწოდება. აკადემია განახორციელებს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კარიერული შესაძლებლობების გაფართოებას და დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებას.

აკადემიის მისია

შპს ,,ND_აკადემია“ არის მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა უზრუნველყოს ხარისხიანი სასწავლო და სამუშაო პირობების შექმნა, ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. მოამზადოს პროფესიული უნარებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიცირი, მრავალპროფილური მიმართულების მქონე სპეციალისტები, რომლებიც წვლილს შეიტანენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

აკადემიის ხედვა

აკადემიის ხედვაა 2032 წლისათვის ჩამოყალიბდეს თანამედროვე, ინსტიტუციურად მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც უპასუხებს შრომის ბაზრის გამოწვევებსა და კონკურენტუნარიან საგანმანათლებლო სივრცეში დაიმკვიდებს ღირსეულ ადგილს;

აკადემიის ღირებულებები

1. **ხარისხი და პროფესიონალიზმი** — ყველა პროცესი ხორციელდება დადგენილი სტანდარტებისა და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე.
2. **მოქნილობა და ხელმისაწვდომობა** — საგანმანათლებლო პროგრამები ხელმისაწვდომია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის თანასწორობის პრინციპის დაცვით.

3. **პარტნიორობა და სექტორული ჩართულობა** — პროგრამების დაგეგმვა და განახლება ხორციელდება შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.
4. **ინკლუზიურობა და თანასწორობა** — აკადემია უზრუნველყოფს დისკრიმინაციისგან თავისუფალ გარემოს.
5. **უწყვეტი გაუმჯობესება** — სტრატეგიული და ოპერაციული გადაწყვეტილებები ეფუძნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

SWOT - ანალიზი

აკადემია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT ანალიზს, რაც განსაზღვრავს მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს. დაგეგმვა იწყება ინფორმაციის შეგროვებით, რაც მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ მონაცემებისა და კვლევების ანალიზს. სტრატეგიული გეგმა ეფუძნება ქვეყნის, რეგიონისა და თემის პრიორიტეტებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო სტანდარტებსა და კანონმდებლობას. სტრატეგიული გეგმის მიზანია ,,ენ დი აკადემიის“ ხედვის რეალიზაცია და ორგანიზაციის განვითარება. SWOT ანალიზის შედეგების მიხედვით განისაზღვრება სტრატეგიული მიზნები, რომლებიც უზრუნველყოფს სისუსტეების აღმოფხვრას, ძლიერი მხარეების გაძლიერებასა და შესაძლებლობების ეფექტიან გამოყენებას.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
➢ საგანმანათლებლო საქმიანობის გამოცდილება; ➢ თანამედროვე ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები; ➢ დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებლები; ➢ შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროგრამის განხორციელება.	➢ ბრენდის ცნობადობის ნაკლებობა; ➢ საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოების საჭიროება; ➢ პროფესიული განათლების სისტემაში პრაქტიკული გამოცდილების განვითარების საჭიროება.
შესაძლებლოებები	**საფრთხეები**
➢ პარტნიორობა ბიზნესთან; ➢ სახელმწიფო და დონორული გრანტები ➢ მომავალი გაფართოების პოტენციალი;	➢ ბაზარზე არსებული კონკურენცია; ➢ რეგულაციების ხშირი ცვლილება.